ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივნისის მორიგი სხდომის

ოქმი N 9

2022 წლის 06 ივნისი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი,ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, სულ საკრებულოს 29 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

დავით დევდარიანი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ირინე ჩხეიძე - მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი .

ნათია მესხი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს კულტურის და ხელოვნების ცენტრის ბუღალტერი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ვ. ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე - ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორი,

ი. ბერაძე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ნ. კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

ს. გლუნჩაძე -ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
   მომხს: ირინე ჩხეიძე

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს კულტურის და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ
   მომხს: ნათია მესხი (ა.(ა) იპს ბუღალტერი)

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
   მომხს: მარინე ხვედელიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ
   მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

5. საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადების განხილვის შესახებ
   მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი

მომხრე -29

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის ი. ჩხეიძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში განვიხილეთ კომისიის სხდომაზე, სამსახურს დეტალურად აქვს წარმოდგენილი ანგარიშში, რა გაკეთდა და რა ვერ გაკეთდა, ვერ გაკეთების მიზეზი იყო პანდემია და არა სამსახურის მიზეზი. მან აღნიშნა, რომ სამსახურის საქმიანობას ვაფასებთ დადებითად.

თ. ავალიშვილმა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ს თავმჯდომარემ მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა, ტრადიციულად ზაფხულში ზვარეში ეწყობა საზაფხულო ბანაკი, მერმა მოსახლეობას შეჰპირდა, რომ იქ მოეწყობოდა ინფრასტრუქტურა, მაინტერესებს რა გაკეთდა, თუ გაქვთ ინფორმაცია.

ი. ჩხეიძემ - უპასუხა, რომ ა (ა) იპ-ის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ალბათ ექნება სიახლეები.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ მისასვლელი გზა გაკეთდა, მშენებლობა ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ მიწაზე მიდის სასამართლო დავა.

პ. გოგოლაძემ - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ სამსახური ყოველთვის ზედმიწევნით კარგად ასრულებს თავის მოვალეობას და მათ საქმიანობას ვაფასებ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს კულტურის და ხელოვნების ცენტრის ბუღალტრის ნ. მესხის ანგარიში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს კულტურის და ხელოვნების ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ნ. დიდიძემ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს კულტურის და ხელოვნების ცენტრის კულტურის მიმართულების ხელმძღვანელმა გააკეთა ინფორმაცია ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ და დასვა პრობლემა ფართის სიმცირის გამო.

მ. ხვედელიძემ, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა,რომ ფართის პრობლემა მუზეუმს ნამდვილად აქვს. შარშან დახარჯული 2500 ლარი ეს არის მიზერული, წელს იმედი მაქვს რომ რაღაც შეიცვლება, ყველამ ვიცით, რომ მუზეუმმა წლის განმავლობაში ბევრი საინტერესო ღონისძიებები ჩაატარა, ვისურვებდი, რომ მეტი თანხა წავიდეს ამ მიმართულებით, დგას კომპიუტერების შეძენის საჭიროება. ა(ა)იპ-ის საქმიანობას ვაფასებ დადებითად.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ ვეთანხმები ნინოს, რომ სივრცე არასაკმარისია და საჭიროებს გაფართოებას, ვმუშაობთ ცენტრალურ უწყებებთან.

მ. ბარბაქაძემ სხდომის თავმჯდომარემ, რეპლიკის სახით მოუწოდა ა(ა)იპს წარმომადგენლებს ეზრუნათ ბორითის ხეობის ქორეოგრაფიული ანსაბლის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა ა(ა)იპ-ის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე მ. ხვედელიძის წინადადება

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი -0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მ. ხვედელიძის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- ს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლებში ბავშვთა ჯანდაცვის კუთხით არის პრობლემები, კომისიის მეშვეობით ხდებოდა ბავშვთა

კომპლექსური შემოწმება ექიმთა ბრიგადების მიერ, არა ერთი ბავშვის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა დასმული დიაგნოზების შემდეგ, კარგი იქნება თუ ეს პრაქტიკა აღდგება.

მ. ხვედელიძემ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ბევრ სკოლას იქ სადაც კონტიგენტი დიდია ემსახურება ექიმი, თუმცა კომპლექსური შემოწმება მისაღებია და კარგი იქნება.

პ. გოგოლაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, ყველა ვხედავთ მარინეს აქტიურობას მის საქმიანობას ვაფასებ დადებითად

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა პ. გოგოლაძის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი- 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი საკითხის ცნობად მიღების თაობაზე.

განკარგულება მიღებული იქნა ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისის თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე - საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადების განხილვის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

კ. გოგსაძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - ს წევრმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა იქნებოდა თანამშრომლობის კარგი მაგალითი, მაგრამ კომისიის სხდომა გახსნა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მოწოდებით, რომ ის არ ემხრობა დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნას,

ბ. კვირიკაშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან ჩვენს კომისიაში არ არიან იმ დონის სპეციალისტები, რომ წლების წინ გაკეთებული პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები დავადგინოთ ვისაც მუშაობა და ჩართულობა უნდოდა სოლომონ მეფის 56 .ა- ში მცხოვრებ მოსახლეობის განცხადების საფუძველზე შექმნილი იყო დროებითი კომისია პრობლემების შესასწავლად, რაშიდაც დიდი ინტერესი და აქტიურობა არ გამოგიჩენიათ, აქედან გამომდინარე მიზანშწონილად არ მიმაჩნია დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რაც შეეხება თანამშრომლობას ვაკონტროლოთ მიმდინარე პროექტები ერთად.

თ. ავალიშვილმა განმეორებით დააყენა წინადადება 2007 – 2022 წლების ყველა პროექტები შევისწავლოთ და მოვიწვიოთ სპეციალისტები, თუ ამას გავაკეთებთ მომავალში აღარავის გაუჩნდება სურვილი უხარისხოდ შესრულებული პროექტის ჩაბარებას მოაწესროს ხელი (განცხადება ძირითად ოქმს თან ერთვის).

ქ. ზუმბაძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - ს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ უარს იტყოდით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე.

ი. ალხაზიშვილმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - ს წევრმა, დასვა შეკითხვა რატომ ხართ წინააღმდეგი ჯგუფის შემნის?

დ. კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნას არ ვეთანხმები, როცა საკრებულოში არსებობს ინფრასტრუქტურის კომისია და ჰყავს

კომპატენტური ხელმძღვანელი ბესიკი კვირიკაშვილი. თუ ეჭვი გეპარებათ რამეში მიმართეთ სამართალ დამცავ ორგანოებს. ვაკონტროლოთ მიმდინარე პროექტები, აქ ვითანამშრომლოთ. ერთი თვის განმავლობაში იყო შექმნილი დროებითი კომისია, სადაც მონაწილეობა ოპოზიციის არცერთ წარმომადგენელს არ მიუღია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება ვინ არის მომხრე შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს- 29 წევრი

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 23

თავი შეიკავა 1.

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე უარის თქმის შესახებ მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**